



3123/1-6/22 2 06042022

3123/1-6/22

06-04-2022

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,


მოგესენებათ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წლიდან ახორციელებს „1+4 საგანმანათლებლო პროგრამას“ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის. პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები პირველი სასწავლო წლის განმავლობაში ეუფლებიან მხოლოდ სახელმწიფო ენას, ხოლო შემდგომი 4 წელი სასურველ პროფესიას. რამდენადაც ცნობილია ამ პროგრამით ჩარიცხული სტუდენტებისთვის პირველი სასწავლო წელი, როდესაც ისინი სწავლობენ სახელმწიფო ენას ფასიანია და მოიცავს ერთი საუნივერსიტეტო წლის საფასურს 2250 ლარს. თუმცა, ამის საპირისპიროდ მინისტრის საათის ფარგლებში, 2021 წლის 01 დეკემბერს, პარლამენტში ვიზიტისას ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს არ უწევთ აღნიშნული საფასურის გადახდა უნივერსიტეტში სწავლების პირველ წელს.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- „1+4 საგანმანათლებლო პროგრამით“ უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებს უწევთ თუ არა პირველი სასწავლო წლის საფასურის გადახდა და იმ შემთხვევაში თუ ისინი იხდიან საფასურს, იგეგმება თუ არა აღნიშნული საკითხის ცვლილება, რა ვადაში და რა ფორმით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



19/04/2022



MES 7 22 0000406431

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 06 აპრილის N3123/1-6/22 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N358200; 06.04.2022) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (1+4) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს საშელავათო პოლიტიკა, რაც გულისხმობს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ერთ-ერთი შემდეგი ტესტის: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი; ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი; ოსური ენის ტესტი; აფხაზური ენის ტესტი, შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების ჩარიცხვას, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენას, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ფინანსდება 100 აზერბაიჯანულენოვანი და 100 სომხურენოვანი სტუდენტი, რაც მოიცავს 1 წლის მანძილზე ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლის დაფინანსებას და უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლის დაფინანსებას საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის (ოთხი, ხუთი ან ექვსი წლის განმავლობაში) შესაბამისად. დღეის მდგომარეობით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 8768, ამასთან, 2013 წლიდან 2021 წლის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე და უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სტუდენტთა სწავლის დაფინანსებამ შეადგინა 14 მლნ. ლარი. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით „1+4“ პროგრამაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა და მათი სწავლის დაფინანსება წლების კრილში არის მზარდი, 2013 წელს

სახელმწიფოს მიერ ამ პროგრამის სტუდენტების სწავლის დაფინანსებამ შეადგინა 1 087 063 ლარი, ხოლო 2021 წელს - 2 023 375 ლარი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას („1+4“) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების მხარდასაჭერად სამინისტრო აქტიურად მუშაობს პროგრამის დაფინანსების გაზრდის მიმართულებით.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

